საქმე № 1ბ/407

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ

22 მარტი, 2017 წელი *ქ.თბილისი*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის - ხატია გოგრიჭიანის საჩივარი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მადონა მაისურაძის 2017 წლის 14 მარტის წინასასამართლო სხდომის განჩინებაზე, ი.ბ. ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის ცალკეულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით,-

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აღწერილობითი ნაწილი

2017 წლის 14 მარტს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მადონა მაისურაძემ ი. ბ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 262-ე მუხლის პირველი ნაწილით, წინასასამართლო სხდომაზე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის - ხატია გოგრიჭიანის შუამდგომლობა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

*მოსამართლის 2017 წლის 14 მარტის წინასასამართლო სხდომის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გადასაცემად წარდგენილი მტკიცებულებები: ი. ბ.-ს **ქურთუკის დათვალიერების ოქმი, დათარიღებული 2016 წლის 17 დეკემბრით და** ი. ბ-ს **ქურთუკი (ნივთმტკიცება).***

ბრალდების მხარის აღნიშნულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას მოსამართლემ საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ აღნიშნული მტკიცებულებების მოპოვების დროს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-128-ე მუხლები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამავე კოდექსის 72-ე მუხლის დარღვევა (იხ. გასაჩივრებული განჩინება).

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ხატია გოგრიჭიანმა. პროკურორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას.

საჩივარში მითითებულია, რომ საგამოძიებო მოქმედება დათვალიერების მიზნები მოიცავს იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღებასაც, რომელსაც დანაშაულის კვალი აღენიშნება ან/და შესაძლებელია მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი საგამოძიებო ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ დათვალიერებისას, გარდა შემთხვევის ან სხვა ადგილას აღმოჩენილი ნივთებისა, ამოიღოს სხვა საგნები და ინფორმაციის შემცველი ობიექტები, რომელთაც კონკრეტულ საქმესთან შემხებლობა ექნებათ. ესე იგი, 125-ე მუხლის მოთხოვნათა არსებით დარღვევას მოცემულ შმთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში მითითებულია დათვალიერების ზოგადი წესი. ი. ბ.-ს ქურთუკის დათვალიერების ოქმიდან, ირკვევა, რომ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებულია. ი.ბ.-ს ქურთუკი, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით იქნა დამაგრებული და როგორც დათვალიერების ოქმის, ისე ნივთმტკიცების დაუშვებლად ცნობა უკანონოა (იხ. საჩივარი).

სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე უფლებამოსილია მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინებასთან დაკავშირებული საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების, ობიექტური, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები, წინასასამართლო სხდომის განჩინება და მიაჩნია, რომ საჩივარი ***არ უნდა დაკმაყოფილდეს,*** *შემდეგ გარემოებათა გამო:*

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება თუ ის აუარესებს

ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მსჯელობას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებითად დაირღვა საპროცესო ნორმის მოთხოვნები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვების დროს, რაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველია.

ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ დეტალურად იმსჯელა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. გასაჩივრებულ განჩინებაში დაწვრილებით არის გაანალიზებული საგამოძიებო მოქმედებაზე მისასადაგებელი ის საპროცესო ნორმები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა გამომძიებელს მტკიცებულების (ქურთუკის) მოპოვებისას და მითითებულია ის არსებითი დარღვევები, რაც მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას იწვევს.

საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის/მტკიცებულების (საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის) მოპოვება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესისა და პროცედურების დაცვით. დათვალიერება არ არის ის საგამოძიებო მოქმედება, რომელმაც საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის მოსაპოვებლად შეიძლება შეცვალოს ამოღება. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ის კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით უკვე მოპოვებული აქვს მხარეს და მის ხელთ იმყოფება. ამასთან, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის ამოღება დათვალიერებით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი აღმოჩენილია დათვალიერების მიმდინარეობის პროცესში, მაგალითად, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის და ა.შ. დათვალიერებისას და არა თვით ამ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერებისას. უფრო დეტალურად თუ განვმარტავთ, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის მოპოვებულია ჩხრეკით, ამოღებით, საგამოძიებო ექსპერიმენტით, საბანკო ანგარიშების მონიტორინგით, ექსჰუმაციით, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვით, ექსპერტიზით, ნიმუშის აღებით, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის და ა.შ. დათვალიერებით ან ფარული საგამოძიებო მოქმედებებით. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, როგორიც წლების წინ იყო ნებაყოფლობით წარმოდგენა. ამიტომ, ნივთის (საგნის) წარმოდგენა, რასაც თან ახლავს მისი დათვალიერება და შემდეგ ამოღება წარმომდგენის თანხმობით, არ არის ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერი გზა (ხერხი).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დათვალიერების ოქმის შედგენით ნივთმტკიცების ამოღებას გამომძიებლები მხოლოდ იმის გამო ახდენენ, რათა ამგვარად თავიდან აიცილონ ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლის განხორციელება, რაც რიგ შემთხვევებში, გარკვეული დროის რესურსის ხარჯვასთან და სასამართლოს განჩინების წინასწარ ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდგომ მიღებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ნებაყოფლობით წარმოდგენის, როგორც საგამოძიებო მოქმედების წლების წინ გაუქმების მიზანი სწორედ ის იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს კონტროლის გარეშე არ მოხვედრილიყო ნივთიერი მტკიცებულება. კანონმდებელმა დაუშვა ნივთმტკიცების მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

სააპელაციო სასამართლომ უკვე გააკეთა განმარტება დასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით (იხ. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 25 იანვრის N1g/109 განჩინება), რადგან მსგავსი დარღვევით სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებათა მოპოვებამ მიიღო სისტემატური ხასიათი, რაც საფუძველშივე უქმნის საფრთხეს მოპოვებული მტკიცებულების კანონიერების და დასაშვებობის საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში, გამომძიებელმა დაათვალიერა ი. ბ.-ს მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი ქურთუკი, რომელიც შემდეგ ამოიღო და დაურთო საქმეს. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, მტკიცებულების მოპოვებისა და საპროცესო დოკუმენტის - დათვალიერების ოქმის შედგენის დროს გამომძიებელმა არსებითად დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-128 მუხლები, რაც ავტომატურად მოდის წინააღმდეგობაში სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნასთან და იწვევს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

*ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მადონა მაისურაძის 2017 წლის 14 მარტის წინასასამართლო სხდომის განჩინება ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ **კანონიერია, დასაბუთებულია,** ხოლო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.*

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-20, 72-ე, 97-98-ე, 125-ე - 128-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

*პროკურორის **საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;***

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მადონა მაისურაძის 2017 წლის 14 მარტის წინასასამართლო სხდომის განჩინება, **ი.ბ.-ს** გრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, **დარჩეს უცვლელად;***

განჩინება გადაეცეს მხარეებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს;

*განჩინება საბოლოოა და **არ საჩივრდება.***

გელა ბადრიაშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
მოსამართლე